სამშობლო

შაბათი
27 თებერვალი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 296 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 296

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ, ცალკე ნომერი 5 კ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

დამწუხრებული მშობლები მამასახლისი **ივანე ნიკოლოზის ძე** და მეუღლე მისი **კატო ბეჟანის ასული**; ძმები **სევერიანე** და **ნიკოლოზ ივანეს ძენი ფხაკაძენი,** რძალი **ნადეჟდა გრიგოლის ასული** ფხაკაძისა, და ვანია სევერიანეს ძე ფხაკაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს პირველნი საყვარელი ქალიშვილის, მეორენი ძვირფასი დის, მესამე მულის და უკანასკნელი მამიდის

ნადეჟდა ივანეს ასულის ფხაკაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მიცვალებულისა მოხდება კვირას, 28 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. გამოსვენება ძველი ლაგერის ქუჩაზე, საკუთარ სახლიდან. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

63 2—2

---

8 თებერვალს, ქ. ქუთაისში გამოვა ჟურნალი,

ალმანახი
„ახალი ცისკარი“

შემდეგი შინაარსით:

I. **პოეზია.**

ია ეკალაძე—შვილი მუშა ბოქულაძისა. **ნ. ჩხიკვაძე**—განცდა მგოსნისა.
ვ. რუხაძე—მე ბუნების მიჯნური ვარ. **გალაკტიონ ტაბიძე**—კოშკი.
გ. მეგრელიშვილი—ქურუმი. **ლადო მაჭავარიანი**—მზე-ქალი.
მ. ანაშვილი—მოგონება. **სიმ. წეველი**—გედი.

II. **პროზა.**

დიმნა შენგელაია—მეომრის ძვალი. **ნ. მიწიშვილი**—ძველი ლეგენდა.
ნიკ. ასათიანი—ფურცელი სიყვარულისა. **ვასო ჭითავა**—და-ძმა.
ირ—დი—პირველი ნაბიჯი. **ბ. მირზაშვილი**—ვარდი.

III. **კრიტიკა**

IV. **ბიბლიოგრაფია**
მიმოხილვანი.

5—5

ფასი ცალკე ორი შაური.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი.

4 თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღ. 8—9 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

1 თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46

14 ტელეფონი № 87 თ.

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტ-

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

6 გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ. 2

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი,

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

და ელოდება იგი მკაცრ გასამართლებას.

დრამა ცხოვრების სინამდვილე ოთხ ნაწილად, რუსეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩერნოვის, მიჩურინისა, და ბარლოვის მონაწილეობით.

ინგლისის მეფე საფრანგეთში და ტრესი სალასტიაკოვი.

11 კომიკური. თ.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 29 თებრვლიდან ნაჩვენები იქნება:

დამსხვრეული ბორკილები.

(ბატისტის ხელსახოცი).

მეტად საყურადღებო დრამა ოთხ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ბუქსოვისა და გრილის.

ინგლისის მეფე საფრანგეთში. სასაცილო დრამა 2 ნაწ. რუდოლფისა და ჯიზეტის მონაწილეობით.

12 თ.

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,

თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ელექტრო თეატრ
„რადიუმ“-სა„ და ამპირში“
შესავლელი ბილეთების ფასები:
ლოჟა—85 კაპ. **1—75** კ. **2—50** კ. **3—30** კ.
მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.
64

---

13 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

ფასები საბენეფისოა.

საღამოთი გაიმართება **ბანკეტი**, ბანკეტზე დასწრების წესები შემდეგ გამოცხადდება.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პირფერს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ მარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა,

3 ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70,** სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

10

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს საშუალო სასწავლებლისთვის მოწაფეს 1—6 კლასამდე და კისრულობს აგრეთვე „რეპეტიტორობას“.

მისამართი: გაზეთ „სამშობლო“-ს რედაქციაში. უფ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

ოფიციალი. 25 თებერვალი. გერმანელთა მრავალრიცხოვანი ჯარი სცდილობდა დვინზე გადასვლას, შლოსის მახლობლად, კოკენკუზენთან ფრიდრიშტადტის სამხრეთით რუსებმა გერმანელები უკუაქციეს იაკობშტადტის სამხრეთ დასავლეთით გერმანელები ყუმბარებს უშენდენ რუსთა ბანაკს. მძიმე საველე არტილერია მოქმედებდა ლევინგეფთან და რკინის გზის რაიონში ნიცგალთან. ილუქსტთან რუსების მზვერავები თავს წააწყდენ გერმანელთა ჩასაფრებულ რაზმს, მოსპეს იგი და წამოიყვანეს რამდენიმე ტყვე. დაბა სტოლინის სამხრეთით, რუსების მზვერავები გერმანელთა თხრილებში შეიჭრენ, იქ მყოფი მტრის უმეტესობა დაჰხოცეს და ნაწილი ტყვედ წამოასხეს. მდინარე იკვის ზემო რაიონში რუსებმა ცეცხლით გაჰფანტეს გერმანელების ძლიერი რაზმი, რომელიც ლამობდა რუსების თხრილებს მოახლოებას.

გალიციის ასპარეზი.

შჩებროვის და ქ. ტარნოპოლის სამხრეთ დასავლეთით ღამით საველე არტილერიის მოფარებულმა მტერმა დიდი შეტევა დაიწყო, მაგრამ რუსებმა მოიგერიეს, ხელით სასროლ ყუმბარებით და აგრეთვე რამდენიმე ათეული ტყვეც წამოიყვანეს.

კავკასიის ასპარეზი.

რუსები განაგრძობენ ოსმალთა უკან დახეულ ჯარის შევიწროებას. რუსების რაზმმა ოსმალონი მდინარე კალაპატამოვს იქით გადარეკა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პოლემიკა.

ბერლინის ერთი გაზეთი საფრანგეთის პრესას ვერდენთან გამართულ ბრძოლის შედეგების გამო ეკამათება და ამტკიცებს რომ გერმანელების შეჩერება მათს სისუსტეს სულაც არ მოწმობს, ნამდვილად ამით მათ უნდათ თავისი ჩვეულებრივი სტრატეგიის პრინციპის თანხმათ მცირე მსხვერპლის გაწირვით უდიდეს შედეგს მიაღწიონ. გაზეთები კი დაჟინებით გვაცნობებდენ, რომ გერმანელებს მხოლოდ მსხვერპლის სიმრავლით უნდათ ვერდენი აიღონ.

ვერდენთან დაღუპული გერმანელნი.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ვერდენთან ბრძოლაში გერმანელთ დიდი ზარალი მოუვიდათ. შვიდი კორპუსი ჯარიდან სამი უკვე დაიღუპა. უკანასკნელ დღეებში მოკლულთ რიცხვი გერმანელების მხრით 50,000 უდრის. მთის და გორების კალთები მოკლულ გვამებით არის მოფარული და საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

ვერდენთან ბრძოლამ თითქმის საპოზიციო ხასიათი მიიღო: უკანასკნელ 48 საათის განმავლობაში გერმანელებმა ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგეს წინ; დაღუპულთა რიცხვი კი მათი მხრით 200,000 კაცამდე აღწევს.

გერმანიის ულტიმატუმი.

გერმანიამ, როგორც „ბირჟევია ვედომოსტის“ კორესპონდენტი იტყობინება, ულტიმატუმი წაუყენა პორტუგალიას, რომ მან 48 საათის განმავლობაში განთავისუფლოს ყველა მის მიერ დაკავებული გერმანიის ნავპურჭელი.

ბულგარეთი არ თანხმდება.

ბუქარესტიდან დეპეშით შემდეგს იტყობინებიან: სოფიიდან ცნობა მოვიდა, რომ ბულგარეთის მთავრობა მიუხედავათ

იმისა, რომ მან ვილჰელმი პირადათ მოელაპარაკა, არ თანხმდება, რომ ალბანეთის ტახტზე ისევ ავსტრიის პრინცი ვიდი აიყვანონ.

ოსმალეთში.

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ ეგვიპტეში გალაშქრება შემდეგისათვის გადასდო, ვითომ იმის გამო, რომ საჭირო შარა-გზების გაკეთება არ შეიძლებოდა მანამ, ვიდრე სიცხეები არ დაიწყებო.

ბალკანეთში.

თუ კ. ს. მოსკოვლ კორესპონდენტს დავუჯერებთ, ბულგარელებმა ეგვეელი (სალონიკის რაიონში) სულ დაცალეს.

ოსმალეთის მთავრობის განცხადება.

ოსმალეთის ოფიციოზი „ტანინი“ უარყოფს ხმებს, ვითომ ოსმალეთის მთავრობა რუსეთთან სეპარატიული ზავის შეკვრას ფიქრობდეს. ოფიციოზის განცხადებით კავკასიის ფრონტზე მომხდარი ამბები ვერ შეარყევს ოსმალეთის გადაწყვეტილებას, რომ მოკავშირეების წინააღმდეგ ომი ბოლომდე მიიყვანოს, ვინაიდან მხოლოთ ამას შეუძლია გარანტია მისცეს ოსმალეთს იმისი, რომ მან შესაფერი კომპენსაციები მიიღოს.

იტალია სალონიკისაკენ.

„დენის“ გადმოცემით პეტროგრადში ცნობა მოვიდა, რომ იტალიამ სალონიკში მოკავშირეების დასახმარებლათ კავალერიის ერთი დივიზია გაგზავნა. ამბობენ, ეს იტალიამ რომში ბრიანთან მოლაპარაკების გავლენის ქვეშ ჩაიდინაო.

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ასპარეზზე რუსის ჯარი ოსმალების დევნას განაგრძობს. ოსმალები ახლა მდ. კალაპატობის გაღმა გადავიდენ.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე მომავალ „დიდი ამბების“ ნიშნები სჩანს. დვინის ფრონტზე ფრიდრიხშტადტის აღმოსავლეთით გერმანელების ჯარის ერთმა დიდმა რაზმმა მდ. დვინაზე შლოსის მახლობლათ გადასვლა მოინდომა, მაგრამ რუსეთის ჯარის არტილერიის ცეცხლმა ის შეაჩერა. ქ. იაკობშტადტის ჩრდილო დასავლეთის მხარეზე გერმანელები რუსეთის პოზიციებს ყუმბარებს უშენდენ, მაგრამ უშედეგოთ. გერმანელებმა ამ ფრონტზე მძიმე არტილერიაც აახმაურეს: ესროდენ ლევინგოფს და რკინის გზის ორ სადგურს; რა შედეგი მოყვა ამ სროლას, ამაზე ცნობა არაა. ახალი შეტევა, როგორც ეტყობა, გალიციაშიც იწყება: ცებროვის რაიონში, ქ. ტარნოპოლის ჩრდილო-დასავლეთით ავსტრიელებმა ბრძოლის ველზე გრიგალისებური ცეცხლი დაანთეს და მერე რუსების ჯარს შემოუტიეს; უნდოდათ რუსეთის ჯარის შემოთხრილები დაეკავებიათ, მაგრამ თოფის სროლით და ხელის სასროლ ყუმბარებით რუსის ჯარის რაზმმა ისინი უკუაქციეს.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ასპარეზზე ბრძოლა თანდათან საერთო ხასიათს ღებულობს; შეტევა ბელგიის ფრონტზედაც დაიწყეს: აქ ინგლისელები და გერმანელები უპირდაპირდებიან ერთ მეორეს. ზოგ ადგილას ბრძოლის ინიციატივა ისევ გერმანელების ხელშია, მაგალ. იპრთან, მაგრამ არის ისეთი პუნქტი, სადაც ინიციატივას ინგლისელებიც იჩენენ. წინსვლა კი არც ერთ მხარეს არ ეტყობა.

საფრანგეთის ფრონტზე ფრანგებმა ვერდენის გარეშე რაიონებში გამანადგურებელი საარტილერიო ცეცხლის საშუალებით სუასონის ჩრდილოეთით შეტევის ნიადაგის მომზადება სცადეს. ზარალი თუმცა დიდი მიაყენეს გერმანელთ, მაგრამ წინ წაწევა მაინც ვერ მოახერხეს. ვერდენთან დაწყებულ სასიკვდილო ბრძოლაში გუშინ გერმანელთ აშკარა წარმატება დაეტყოთ, თუმცა საოცარი ენერგიისა და აურაცხელი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ. გერმანიის ლაშქარი, როგორც ვიცით ვერდენის ციხე—ქალაქს სამი მხრიდან უახლოვდება: ჩრდილო დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთ—ჩრდილოეთიდან; მთელი ეს რკალი მდ. მაასის ორივე ნაპირზე მდებარეობს და გერმანელთა მარჯვენა ფრთა, რომ ს. ფორჟის პოზიციებს მარცხენა ფრთა ს. ფრენის რაიონს ემუქრება. 21 თებერვალს ს. ფორჟთან დაწყებული განუწყვეტელი იერიში 24-ს გერმანელების გამარჯვებით დამთავრდა. ფრანგებმა აქ უკან დაიხიეს და ამას ხსნიან იმით, რომ მდ. მაასის ადიდებას და მისი ტოტის ფორჟის ტბებათ გადაქცევის გამო ნავების მოძრაობა მოუხერხებელი შეიქნა და ამის გამო მაშველი ჯარების დროზე მიყვანა შეუძლებელი გახდა. სამაგიეროთ ფრანგები მედგრათ იბრძვიან ს. ფრენის რაიონში: აქ გერმანელები გააფთრებით უტევენ, მარა წინ წასვლა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს. ყველაზე უფრო ამ ფრთაზე ფრანგები ვევრთან არიან გამაგრებული, რადგან აქ გერმანელებისგან სამი მხრიდან მოელიან იერიშს. მთავარი ფორტები აქედან უფრო სამხრეთით ძევს და მათ შორის ყველაზე ძლიერი—მორტომის მაღლობია, რომელიც მდ. მაასის ნაპირამდის მიდის და იქ კიუმერის მაღლობით თავდება.

სხვა ფრონტზე და ზღვაზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

ქ რ ო ნ ი კ ა

რ უ ს ე თ ი.

კადეტების მეექვსე სიეზდი ამ დღეებში დასრულდა. პარტიის კომიტეტი ზოგი ახალი წევრებით შეავსეს: შეიყვანეს წარმომადგენლები ვოლგის მხრიდან, სამხრეთ რუსეთიდან, ლიტვიდან და კავკასიიდან. კომიტეტს დაავალეს, რომ ომის საკითხის გამო ახალი მოწოდება გამოსცეს სახალხოთ. ტაქტიკური ხაზი, რომელსაც პარტია დაადგება, მილიუკოვის რეზოლიუციაშია გამოთქმული. ეს რეზოლიუცია სიეზდმა მიიღო. ამ რეზოლიუციით პარტიის ახლობელი მიზანდანიშნულება პროგრესიულ ბლოკის მოთხოვნებისათვის ბრძოლაა, მაგრამ ამავე დროს პარტიამ მუდამ დემოკრატიის ინტერესები უნდა იქონიოს მხედველობაში და აგრეთვე ერების თანასწორ უფლებიანობა; სხვა დემოკრატიულ პარტიების გამოსვლებს შესაძლებლობის დაგვარათ უნდა დაუჭიროს მხარი. მხოლოთ ყველა ამ მიზნების მისაღწევი საშუალება და ზომები სამხედრო დროის ვითარება-გარემოებასთან უნდა იქმნას შეფარდებული.

ახალი აზეფის განთავისუფლება.

პეტროგრადიდან დეპეშით იუწყებიან, რომ რჟევსკი, რომელსაც ათას რასმეს აბრალებდენ, გაანთავისუფლეს და მისი საქმე სულ მოსპეს. რჟევსკის გავლენიანებმა პირებმა განთავისუფლება მიულოცეს.

სკობელევის შეკითხვა.

როგორც მოსკოვიდან დეპეშით იტყობინებიან, ბაქოს წარმომადგენელი სახელ. სათათბიროს წევრი სკობელევი წინადადებას იძლევა, რომ სათათბიროს შემდეგი სხდომის წესრიგში ბაქოს გენერალ-გუბერნატორის მიერ საგანგებო ზომების მიღების შესახებ საკითხი შეიტანონ. მაგალითად, ერთი ასეთი ზომათაგანია, რომლითაც საღამოს 7 საათიდან მცხოვრებთ ქუჩებზე გამოსვლა ეკრძალებათ. ცხადია, ამბობს სკობელევი, ბაქოში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა; მაგრამ ამაზე ჩვენ ჯერ კიდევ არავითარი ცნობა არა გვაქვს, რადგან იქიდან არც წერილებს და არც დეპეშებს არ უშვებენ. ამ კითხვას სათათბირო დღევანდელ სხდომაზე განიხილავს.

სამხედრო-სამრეწველო სიეზდი.

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების წარმომადგენელთა მეორე სრულიათ რუსეთის სიეზდი 26 თებერვალს გაიხსნა პეტროგრადში, ნაშუადღევის 2 საათზე. სიეზდის სხდომები ოთხ დღეს გაგრძელდება.

ლატიშების საზოგადოების „სამშობლოს“ განახლება.

ამას წინათ მთავრობამ პეტროგრადელ ლატიშების საზოგადოება „სამშობლო“ დახურა, ახლა გაზეთი „დენი“ გვაუწყებს, რომ „სამშობლოს“ ნანგრევებზე ლატიშებმა ახალი საზოგადოება აღადგინეს სახელწოდებით: „პეტროგრადელ ლატიშების დამხმარე საზოგადოება“ მოკლე დროში საზოგადოება ფიქრობს გადმოხვეწილ ლატიშების თავშესაფარი ადგილები გამართოს.

ქ. ქუთაისი, 27 თებერვალი.

გუშინდელ ჩვენს გაზეთში ჩვენ გულახდილათ აღვიარეთ, რომ ქართველებს გააერთიანებს მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც მიგვიყვანს ხალხის გულთან და რომელიც ჩვენ პირად და ჯგუფურ ინტერესებს საერთო, საერო და სახალხო ინტერესებს მთლად დაუდებსო.

რამდენადაც კი ეს შესაძლებელია სახელდახელო, საგაზეთო წერილისათვის, ჩვენ, გვგონია, ნათელ ვყავით ასეთი მიმართულების უპირატესობაც, მაგრამ სწორედ ეს მიმართულება არ მოსწონთ და სასაცილოდ გაუხდიათ „სახალხო—ზვირთ—მეგობარს“ და, გვიქადაგებენ რა გაერთიანების საჭიროებას, ამავე დროს აბუჩად იგდებენ ქართველი ხალხის უმრავლესობის მისწრაფებას.

განა ქართველი ხალხის უმრავლესობის აბუჩად აგდება არ არის, როდესაც ეს უმრავლესობა მოკლებულია უბრალო, ადამიანურ ცხოვრება-უფლებასაც კი და მის გულისთქმას კი „ჩვენებურ“ სოციალისტურის თვალსაზრისით ზომავენ?

განა უდიერობა და თავ-დავიწყება არ არის, როდესაც ერთი რომელიმე,—თუნდა „ცნობილი მიმართულების“ ჯგუფი თავის აზრს ახვევს თავზე ქვეყნის უმრავლესობას და რაკი უმრავლესობას იმისი არა ესმის-რა სწიხლავს და ფუგათ იხსენიებს ამ უმრავლესობის ნამდვილ ჭირისუფალთ?

გადაშალეთ, რომელიც გნებავთ, ნუმერი ზემოდ აღნიშნულ გაზეთებ-სა და

იქ უეჭველად ნახავთ უარესს
ტიკურ სიბეცეს და ჩვენი
ბელ თეორია-ტაქტიკას,
დროს თვითონვე უწყრებიან
მოითხოვენ სრულ [illegible]
ციალისტურ [illegible]
შორს რომ არ წავიდეთ,
ორ მაგალითს იმ უდიერობისა და
თა არევ-დარევისას, რომელიც,
ნების მაგიერად, მხოლოდ განხეთქ
ამზადებს და ამავე დროს კი სხვ
ქრებიან, „ისტორიულის მსჯავრი
თქვენ გეცოდინებათ, რომ „ცნობ
მიმართულების“ „სახ. ფ.“-ს ორი
ქაში ჰყავს, ერთი აქ, ქუთაი
და მეორე თბილისში.
აი რას ამბობს ქუთათური
„წარმოიდგინეთ, ჩვენში შეუძ
ბელია ანტი-სოციალისტი იყო
თქვენს დებულებათ „სამშობლოს
ბლიცისტივით მხოლოდ არცივ
სანინებითა და პშიბიშევსკის ფილ
ასაბუთებდეთ და, პირიქით, შეიძ
თქვენ იყოთ სოციალისტი, მა
მსოფლიოს სიყვარულს ატარებ
თქვენს არსებაში, მაგრამ ჩვენებ
სოციალ-დემოკრატებსავით საქა
ლოში მეორე მიმართულების არს
ბა კი გრძნობა-გონებას გიწამლავ
და გარდა საკუთარი თავისა სხვ
ვინ გწამდეს; ჩვენში შესაძლებ
ეროვნული დემოკრატის ეტიკ
გამოხვიდეთ და ქართველი დემოკ
ტის კეთილდღეობას დეპუტატთა
კრებულის არქივებში ჩხრეკდეთ;
ქართველობში თქვენ შეგიძლიათ ა
პოლიტიკური პარტიის დაარსებაც
რომელსაც სახელი ექნება, მაგრამ
მართულება და პროგრამა კი არა.“
ამ უადრესს „პოლიტიკურ“ ორ
ჯობას თბილისელი დამქაში თავის მ
დასძენს:
„ქართველი ეროვნული იმპერია
ტები (!) მოუხეშავი ნაფოტებია სოცია
ფედერალისტებისა, სოციალ-დემოკრა
ბი კი თანდათან ითვისებენ სოციალ-
დერალიზმის მოძღვრებას და ჩვენ გვ
ლოვდებიან.“
წარმოვიდგინოთ ერთ ხანს, რომ
ლა ეს „სიბრძნე“ა, ყველა ეს სრული
შმარიტებაა და არა, მართლადაც,
ლიტიკური „სანინობა“, ან პოლიტ
რი „დონკიხოტობა“, მაგრამ ასეთი
თაიებით რა ემატება იმ 99 პროც
ქართველობისას, რომელიც ყოვლად
წოდ არის მიტოვებული, ჩარჩენილ
„მოსე მწერლების“ მსხვერპლი გამხდ
ვსთქვათ აგრეთვე, რომ ჩვენში მ
ლაც არსებობს ისეთი პოლიტიკური
ტია, რომელსაც „სახელი აქვს,

ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა.

(კრიტიკული წერილი).

(შემდეგი იხილე „სამშობლოს“ 295 ე №).

ვაჟა დაიბადა საქართველოს დამოუკიდებლობის სიკვდილისა და ქართველი ერის პსიხიური გადაგვარების დროს. ამის მაყურებელი ვაჟა პირდაპირ სამშობლოს გულიდან აღმოხეთქილი პროტესტია ამ ორმაგი მიმდინარეობის ჩასაქრობად. ამიტომაც არის, რომ მგზნებარე პოეტური გრძნობა სამსონის ძალას იკრებს და ელვის რახტის ტყლაშუნით სცდილობს ტალღა შეატრიალოს, იგი ჯადოსნური სარკით სცდილობს წარსულის ბუმბერაზობა დაგვანახოს, სადაც გმირნი გმირობდენ, სადაც მამულიშვილობა არა თუ ხელწამოსაკრავი, არამედ სათაყვანისმცემლო მოვალეობა იყო. მთელი ჩვენი მომავალი ვაჟამ ამ რომანტიულს ნიადაგზე ააშენა, აქ ეძებს იმის ხსნას, აქედან ჰლამობს სიცოცხლის ნერგი მოგვთავაზოს, ჩაგვბეროს მივიწყების სარბიელზე ობოლ დროშასავით მოფრიალე მამაპაპათა ძლიერი სული და მით გვაღირსოს ახალი განთიადი, ახალი სიცოცხლის დასაწყისი. უნდა ნახოთ ვაჟა, როგორი სიხარულით თრთის, როცა დარაზმულ გმირებს ჰხატავს, თვითონაც როგორ უთრთის მკლავები, რა სიამის „ჟრუანტელი“ უვლის*), მაგრამ ეს ენტუზიაზმი როგორის მწუხარებით იფერფლება, როდესაც ფიზიკური ძალა ფიზიკური ძალის ალმატებით იძლევის, ქართველ მებრძოლთა ზეკაცურს გამკლავებას საბოლოოდ მოსტეხს აღამაჰმადხანის ულეველი ლაშქარი.

„გასწყდნენ სამშობლოს ერთგულნი,
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუდმივ თვალნია*)“..—

გვეუბნება სასოწარკვეთილი ვაჟა.

ვაჟა ნამდვილი კერპთამსახურია ჩვენის ისტორიის დამამშვენებელ ისეთ სახელების წინაშე, როგორიც არის თამარი, ერეკლე. პოეტის ძირითადი სულიერი თვისებანი ამ მხრივ ურყეველია. იგი სამშობლოსადმი სიყვარულით უკიდურესობამდის არის გატაცებული, თითქმის მის იქით სხვა სარბიელი მან არ უწყის, იგი ბრმაა. მაგრამ ფაქიზი ვაჟას სულის სილამაზისა სწორედ ის გახლავთ, რომ სამშობლოს ზმანებით გაბრუებული, მის საყვარელ გმირთა მოჩვენებით დაბრმავების შემდეგაც მაინც ნარნარად გვეჩვენება, ფაქიზად, ფრიად კეკლუც და მიმზიდველად. ნუ მოაშორებთ ამ მოჩვენებათა ბურუსს, ვინაიდან სწორედ ამ დროს გახლავთ ვაჟა ღვთაებრივი შემოქმედებით შეპყრობილი. ამ მომენტის დროს ჰგრძნობს ვის ემსახურება და რად, ჰგრძნობს და გვასწავლის, რომ სამშობლო უბრალო სახელწოდება კი არ არის, არა ფანტაზიის ნაყოფი, ანუ თავმომტყუები გამოგონილი რამ, არამედ უწმინდესი ტერმინი ღვთაებრივი მოწოდებისა, ჩვენი მოვალეობა, ნეტარება, თუ გნებავთ სახელი და დიდება, უმაღლესი მიზანი ყველა გონიერ არსებისა! სიყვარული მამულისადმი, სამშობლო, უაღრესი სურვილი გახლავთ ღვთაებრივ იდეალთან შესასისხლხორცებლად, რაც ინსტიქტიურად დაბადებით ზნეობრივ სტიკლუცის ბადედ ექსოვება ჩვენს სულს! რა განცდაა მასზე უწმინდესი, რა მსხვერპლია მასზე უდიდესი, რა ენტუზიაზმია მასზე უაღრესი, რაიც ამ ღვთაებრივ ცნების გარშემო იხლართება, ცნების, რაიც კაცობრიობამ მშობელ კერის სახლად იცნო!

ვაჟა თითქოს ინსტიქტიურად მიხვდა, რომ მიზანი ხელოვნებისა მარტო ის კი არ არის, რომ მხოლოდ წუთიერი ოცნება გამოეწვია ჩვენში სამშობლოს კეთილდღეობისთვის, არამედ ის, რომ

დარწმუნებულნი

ვყოფილიყავით ამ კეთილდღეობის შესაძლებლობაში, მის განხორციელებაში. ვაჟამ თავის განვითარებასთან ერთად გაზარდა და გააფაქიზა ჩვენი გრძნობანი, უკვდავი პოემების საშუალებით გვავარჯიშა, დავსრულებულიყავით და გრძნობათა ქვეყნის იმ ობიექტურ სიშორეზე გადავეტყორცნეთ, სადაც ჩვენი დღევანდელი უსახეობა და უპიროვნება ნამდვილ სახეს მიიღებდა, საკუთარ მეტყველებას, როგორსაც ჩვენი წინაპარნი საუკუნოებით ატარებდენ. ვაჟას მხედრული სული მხედრულს იდეალს ეთაყვანებოდა, გმირებს უძახდა საყვირითა. ამიტომ არის, რომ მის პოემებში ვერცერთს ჰწკარს ვერ ნახავთ, სადაც ყოველი სიტყვა ბრძოლის ქურაში არ იყოს გამოწრთობილი. დიადი სურათები ჰომიროსისა მეტოქეობას უწევს. მის მიერ ბუნების აღწერილობანი ჩვენზე ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს მის ფანტასტიურს ფერდებში შერეულია ვანგერის მუსიკის მძლავრი მოტივები. როგორც ექსტაზის დროს მხედველობა და სმენა ერთად ირევა და ასე გვგონია, რომ თითოეულ ხეს კი არ ვუმზერთ, კაცს, კლდესა ანუ მწვერვალებს, არამედ რაღაც სტიქიურს არსებას, რომელნიც ულრანტყიდან გვიყურებს და რისხვით მუშტს გვიქნევს, ან და ბულბულის სტვენასთან ერთად ნარნარი სახით გვიღიმის და გვეალერსება, ისე ვაჟას პოემები შესავლისთანვე სიმძლავრეს

გვითიხათინებენ, გვახარებენ და გვაძრწუნებენ. ეს პარადოქსი ნუ გგონიათ. მისი დასრულებული პოემა „ბახტრიონი“ ჰომიროსის სურათებს და ვაგნერის ნიბელუნგების მუსიკას უმალ შეისმენთ პოემის ზევსურს შესავლისთანვე:

„დღემ დაიხურა პირბადე,
მთებმა დახუჭეს თვალები,
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბლითა
ზარი სთქვეს შესაზარები...

ანუ. „იერ-იბანდა, ცისკარი
სულს ჰლევდა, ნელ-ნელ ჰქრებოდა,
ნეტავი ყველა ლამაზსა
ასე სიკვდილი ჰხვდებოდა,
დღეს მკვდარი, ხვალე დილითა
ცოცხალი დამიდგებოდა...

ან და ის. . . . . .
გადვიდნენ ალაზნის თავსა,
მთების წვერები ჩნდებოდნენ,
ზოგნი ცის გულ-მკერდს ჰკოცნიან,
ზოგნი უკანა რჩებოდნენ,
იმათ ჩაუთქამ ქვეყანა,
ბუნების სისხლით სძღებოდნენ...
მზე რომ ამოვა, მაშინის
შავს ნისლებს გადაიყრიან,
თუნდა მთლად ქვეყანა დაექცეთ
აბჯარით არ ჩამოიყრიან.
გულ-მკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
წარბ შეუხრელად მდგარნია.
ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რათ შაედარება?
მალ-მალე შავი ჯანყები
თავზე რომ დაეფარება:
ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი...

რა დიდებული სურათებია, რა წარმტაცი მეტაფორები! „მთებმა დახუჭეს თვალები“, ანუ „ნისლი ფიქრია მთებისა,

შედევრია ჩვენი თანამედროვე ლიტ
ტურისა! ჰომიროსისებური ლალი ს
ლო, ცად აბჯენი, ცის კოცნა, მწვ
ლთა გადაქცევა,—ეს ხომ გენიოს
ვის პალიტრიდან მოპარული ფე
ბია! მერე სად ნახა ვაჟამ ეს გენიოს
ტვარი? ან ვინ იყო, ვისი სახიერ
წარმომადგენელია ეს უცნაური პირო
ბა? რა თქმა უნდა, სამშობლო მისი
ნარეს ყოვლისა ფშავი, სადაც და
ჩვენი მგოსანი, სადაც ბუნება თ
ჰქმნის გრანდიოზულ სახეებს, ჯერ
ღმერთები არ დახოცილან და გმირ
ულთა მორის სალაზღანდაროდ ჩამო
დაბლა მიწაზე. მაშ რად გიკვირთ
ვაჟას გმირებიც მდევებად, ტიტა
მოგვეჩვენებიან? აიღეთ „ბახტრიონი
ყველა გმირი ღმერთ-კაცია; ზეზვა,
ხუში, ხოროშაული, კვირია—ეს ხო
ზღაპრო გმირებია, რომელთა წარმ
ბაც მხოლოდ მთას შეეძლო! სანთ
ხომ „ქართლის დედის ტანჯული
რებაა, ვის მწუხარებას ვერა რა მ
რება ვერ ჩამორეცხს, ვიდრე საგ
ლი მისი „ბახტრიონის“ გალავანზე
ჯაჭვული! ეს ამაყი, დამოუკიდებლ
მოტრფიალე გმირები სრულიად ც
ულოდ სთვლიან თავს მთელი მთის
მომადგენლებად. პოემის გმირთა ზ
რივი განვითარება შეგნებულ ბრ
შედეგი კი არ არის, არამედ უმ
თვისების ინსტიქტიური ნაყოფი,
გამოაფოლადა თითოეული მათგან
ნება და ხასიათი. ამიტომაა, რომ თ
ული მათგანი ბუნებით არისტოკ
შთამომავალი გვგონიათ, ვიდრე
მთიელი გლეხ-კაცისა, რომელსაც
ძლებულია, სხვა დროს და სხვა გ
ებაში მაღლიდან ზიზლით უყურ
არ გაგვადუხჭიროსო!

დ. კახ

შემდეგი იქნება

ულება და პროგრამა კი არა", ან ვ ვთქვათ, „ქართველი ეროვნული ალისტები ნაფუტებია სოციალ— ალისტებისა და თვით სოციალ— ტები ფედერალისტებში ითქვი-ან კიდევ ვსთქვათ, რომ თვით ი სოციალისტ— ფედერალისტები ლე სიტყვით არიან „სოციალის-", საქმით კი ჩაშლილებიან თბილ-ავილს, ორ სკამზე დამსხდარან ებრივ ბატონყმობას ემსახურებიან, ვ უვლია ეს რას შველის იმ 99 ცენტ ქართველობისას, რომელიც ველის მთა-ველად გაფანტულან, ბენი ესმის ჩვენის ლათაიებისა, ენაც ჩვენ ჩინური ენა?

ორ უნდა დაუახლოვდეთ მათ, ორ უნდა გამოვაფხიზლოთ იგინი? საკითხი, რომელიც უნდა გამოირ-და უნდა გადაწყდეს, თორემ თქვენ თქვენს თავს გუნდრუკს უკმევდეთ, ულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ა თქვენის მეოხებით ოდესმე მაინც ნიერდება. პირიქით, თქვენი ყოყლო-ბა ფერხებს ჩვენში ერთობის საქმეს როცა ხალხი, გალვიძებული ქართველი ბა,—გადვიძებული სწორედ იმათგან, ც თქვენ დღეს აბუჩად იგდებთ,— ს მოგთხოვთ, ბატონო პოლიტი-ი გმირებო, მაშინ თითზე ნუ-ებენთ, ვინაიდან თქვენს წამხდარ ს აღარ არგებს „მერმელა თითზე ნი".

ვნ ღრმათა გვწამს, რომ ქართველი ბი ყოველთვის მოახერხებს შეერთ-, როცა მას ისტორიული განსაცდელი ება და გარეშე თქვენის „პრინციპ—რთულებისა", ეს ისე იმოქმედებს, რო-ც მისთვის იქნება ხელ-საყრელი, სამ-არო მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ენის ლათაიებით ჯერ კიდევ აბრი-თ იმათ, ვისაც შეეძლო ქართველ ხონ მისულიყო და მის წიაღში ალ-ე ეპოვა „პროგრამაცა და ენერგიაც" მანუის მოქმედებისათვის...

ქართული პრესა.

ამ დროს, როდესაც ქართველი ინტე-ენცია დიდ იმედებს ამყარებს განახ-ლ რუსეთზე და იმ ერთგულებისა ზავერპელისათვის, რომელიც არა ერთ-გამოუჩენია ქართველ მოწინავე ებას და გაუღია ქართველ ხალხს, ვაში დიდ შეღავათებსაც ელის, აქა-ეთი ნიშნები სჩანს, რომ გვეფიქ-სრულიად პირცარიელნი არ დავრ-და რაცა გვაქვს, ისიც არ დავკარ-

ოგვხსენებთ რომ ქართველთა ეკლე საკათალიკოსო ეკლესია იყო და დღე-არ დაუკარგავს მას თავისი კანონი-უფლებანი, დღესაც დიდათ პატივ ული მკვლევარი საეკლესიო საქმეე-ნ. დურნოვო თავგამოდებით იცავს ართველის ეკლესიის უფლებით და რაგივრად პირველი ის მოითხოვს უფლებათა აღდგენას, მაგრამ, რო-ცა სჩანს უფლებას თუ ღონიერი მო-ლე არა ჰყავს მხოლოდ ცარიელ სი-თ რჩება.

გორც რუსეთის ზოგიერთ გაზეთის ბიდან სჩანს, რუსეთის უმაღლესს ლიერო წრეებში განზრახვაც კი აქვთ ე გააუქმონ **საქართველოს საეგ-სოს** კათედრა და მის ადგილას ნ კავკასიის **სამიტროპოლიტო**, რაც უდრის **საქართველოს** ის სახელის ამოშლას საეკლესიო იდან, ამის გამო „სახალხო ფურ-ლი" **სწერს:**

ართული ეკლესიისთვის ამ საკითხს საკუთრებული მნიშვნელობა აქვს, გნაც ცნობა კავკასიის სამიტრო-ლიტისა კანონიურად ვერასოდეს ერ დაჩრდილავს საქართველოს საკათო-კოსის ცნებას. ფაქტიურად კი კავ-სის სამიტროპოლიტო დაჩრდილავს ართული ეკლესიის კანონიურ სახეს მელიც ჯერ კიდევ შერჩენია გარე-ლად მაინც იმით, რომ სინოდის ერ დანიშნული ეგზარხოსი საქარ-ელოს ეკლესიის სახელს ატარებს. ენ არ ვიცით, რამდენად მართალია ცნობა და რამდენად სერიოზულია ეთის უმაღლესი სასულიერო წრე-ბს ეს განზრახვა, მაგრამ მაინც საჭი-ოდ მიგვაჩნია ცოტა ხანს შევჩერდეთ საკითხზე, რადგანაც ამ საკითხ' თი ქართველი სამღვდელოების წრეებ-ში თავისი პატარა, მაგრამ ძლიერ არა სასიამოვნო ისტორია აქვს.

დღეს აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, თუმცა საჯაროდ ეს არავის განუცხადებია, რომ მაშინ, როდესაც საუკეთესო ნაწილი ქართველი სამღვდელოებისა საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებებს იცავდა, თვით ქართველ სამღვდელოებაში გამოჩნდნენ ისეთები, რომელთაც სამღვდელოების სამართლიან მოთხოვნას დაუპირისპირეს სამიტროპოლიტოს დაარსების იდეა. ეს ზურგიდან მახვილის დაკვრას უდრიდა და ასეთი მახვილი ხელში ზოგიერთ ქართველ მღვდელს ეპყრა. იდეა, რა თქმა უნდა, მოკვდა, რადგანაც იგი ვერასგზით ვერ შეეგუებოდა, ვერ შეეთვისებოდა ქართული ეკლესიის მოთხოვნილებებს. მაგრამ მახვილმა მაინც თავისი კვალი დასტოვა და მას ჯერ კიდევ შეუძლიან თავისი თავი დაგვანახოს.

ქართველ სამღვდელოებას რომ მაღლა ეპყრას პრესტიჟი თავისი გარდაუვალი უფლებებისა, ამისთანა მოვლენებსაც ადგილი აღარ ექნებოდა. თვით ქართველთაგან ველარავინ გაბედავდა ისეთ პროექტის შედგენას, რომელიც საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებებს ეწინააღმდეგება.

ამას ჩვენ უნდა დავსძინოთ შემდეგი: ნათქვამია, როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო. ამითი ჩვენ რასაკვირველია, არ გვინდა ჩვენი სამღვდელოების უმოქმედობის გამართლება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენი ეკლესიის წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენ ინტელიგენციასაც, მის უგულობასა და ინდიფერენტიზმს, ვინაიდან იგი ივიწყებს, თუ რა დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს თავისუფალ ეკლესიას ხალხის ცხოვრებაში და ეკლესიის საკითხს მხოლოდ კლერიკალთა საკუთრებად სთვლის...

ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ უპატრონო ეკლესიას... სხვები დაპატრონენ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ სახელმწიფო სათათბიროში რუსეთში საეკლესიო საკითხის გამო დეპ. პოტულოვმა და სინოდის ობერპროკურორმა მოხსენება შეიტანეს. განზრახულია დიდი რეფორმა.

✦ დეპ. ჯაფაროვმა და სკობელევმა ბაქოს უწესოების შესახებ სათათბიროში შეკითხვა წარადგინეს.

ლექციები პროვინციაში. ამა თვის 28 თებერვალს დ. ყვირილაში, 5 მარტს, ჭიათურაში და 6 მარტს დ. შორაპანში ახალგაზდა ლექტორი გ. მ. ხაინდრავა წაიკითხავს ლექციას თანამედროვე მსოფლიო ომზე. ეს ლექცია ავტორმა უკვე წაიკითხა ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა სოფლებში.

სამეურნეო სასწავლებლის მოსამზადებელი და პირველი კლასის მოწაფეები, სასწავლებელში ყულფივრების გაჩენის გამო, ნაადრევამდი დაითხოვეს.

ქუთაისის მცხოვრები ასლან ჯავახიძე, სასადილოში პირებზე წამლების მიცემის გამო, პოლიციამ დააპატიმრა და საგუბერნიო ციხეში მოათავსა.

ქუთაისის სამაზრო ჯარში გამწვევ სამმართველოს სხდომები ამიერიდან მოხდება კვირაში ორჯერ: ორშაბათობით და კვირაობით.

✶ ქუთაისის გუბერნატორმა ნიხრის დარღვევისათვის დააჯარიმა შემდეგი პირები:

იოსებ ფოფხაძე, ტარასი კარანაძე, ალექსანდრე გიორგაძე, ეგნატე ფურცხვანიძე, არჩილ სპირანდი და იასონ დავითულიანი თითოეული 25 მანეთით; პლატონ კაციტაძე 50 მან. თეოფილე არიშვილი 10 მან.

სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ყრილობამ თ. დ. შერვაშიძის წინადადებით ერთხმად დაადგინა არჩეულ იქნას სტატს-სეკრეტარი ერმოლოვი სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრად.

✶ დ. ჭიათურაში არსდება ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების ფილიალური განყოფილება.

✦ 14 მარტს ქართული გიმნაზიის მოწაფეები მართავენ შოთა მღვიმელის სალიტერატურო დილას.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩიჩინაძემ უსუფთაობის გამო ოქმი შეუდგინა კლუბის შესახვევში გრიგოლ არაზოვს, ბალახვანის ქუჩაზე იასონ ახვლედიანს და მაქსიმე ყაველაშვილს.

— მაზრის ზედამხედველმა ე. გ. ურიდიას ოქმი შეუდგინა ყველის ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის.

✦ გუშინ, ქუთაისის ქალ. თვითმმართველობის დარბაზში მოხდა მებოჭკეებთა მამასახლისების არჩევანი. ერთხმათ აირჩიეს შუაგულ უბანში ივანე სულავა, მის თანაშემწეთ ამბაკო გვაზავა. „ნაგორნი" უბანში სარ. სულავა, თანაშემწეთ სამჯავშია.

სოფლად.

✦ სოფ. გუდაუთის მცხოვრებლებმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ნება დართონ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა.

17 თებერვალს ს. ქოლუბანის მცხოვრები სამსონ შუბლაძე წყალში დამხრჩალი ნახეს, როგორც გამოირკვა, შუბლაძე სიმთვრალისაგან გადავარდნილა და დამხრჩალა.

✦ 19 თებერვალს, საღამოს 10 საათზე ს. ნახუნოვის (სენ. მაზრა) მცხოვრების ფილიპე სიჯოლძე შავდიას თავს დაესხნენ ავაზაკები და წაიღეს 40 მან. ფულით ასი მანეთის ავეჯეულება და მიიმალნენ.

ს. გულათუბნის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებს აქსენტი ნიკოსძე ლომსაძეს, ტყეში მუშაობის დროს გაუფრთხილებლობით, ხე დაეცა თავში და სასიკვდილოთ დააშავა.

✦ 15 თებერვალს ღამის ორ საათზე დ. სურამის მცხოვრების ირინე ხომერიკის სახლს ცეცხლი გაუჩნდა სახლი სრულიად დაიწვა. სახლთან ერთად ცეცხლმა იმსხვერპლა პატრონი მისი ირინე ხომერიკი.

—ს. ჰალის (ოზურ. მაზრა) და ს. ოყურეშის (ლეჩხუმის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ დაარსონ მომხმარებელთა საზოგადოება, „იმედი" და „მოლოდინი".

— დ. ზუგდიდის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ დაარსონ დ. ზუგდიდში სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრეს დაბა გუდაუთის (სოხუმის ოლქის) მცხოვრებლებმა, რომ ნება დართონ დაარსონ სასოფლო სამეურნეო საზოგადოება დ. გუდაუთში.

— 15 თებერვალს ს. ხონის მცხოვრებთ არსენა გენძეხაძეს, ლევან უნცროსავს და ნიკოლოზ სანოძეს მოუვიდათ ჩხუბი და გენძეხაძე მძიმეთ დასჭრეს წალდით თავში.

— ს. ნოქალაქევი. ორი-კვირის წინათ აქ გახსნეს მომხმარებელი კოოპერატიულ „შრომის კავშირის განყოფილების მაღაზია. მიუხედავათ იმისა რომ ბევრი მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ წევრები მაინც ეწერებიან. ვაჭრობა სასურველათ მიმდინარეობს.

— სოფ. ხონი აქ შეიმუშავეს კოოპერატიული საზოგადოების წესდება და მალე გაეგზავნება გუბერნატორს დასამტკიცებლათ.

ქალაქის საბჭოს გარშემო.

თუ ოდესმე კერძო ან საზოგადოებრივ თაოსნობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ცხოვრებაში, დღეს ასეთი თაოსნობის აუცილებლობა გაორკეცებულათ უნდა ჩავთვალოთ. მით უფრო, რომ დღევანდელმა უმაგალითო ომმა ცხოვრება იმდენათ გაართულა, რომ ათასგვარი საჭირბოროტო საკითხი დაუყენა საზოგადოებას გადასაწყვეტათ. ყველაზე უფრო თავსამტვრევი საკითხი სურსათ-სანოვაგის მოწესრიგება-განაწილებაა, რომ საზოგადოების რომელიმე წევრი სიმშილის მსხვერპლი არ გახდეს.

სანოვაგის გაძვირების საკითხმა ყველა, განურჩევლად მიმართულებისა და წოდებისა, ჩააფიქრა. ეს ფიქრი ყველაზე უფრო აწუხებს იმ მეთაურებს, რომელნიც ამა თუ იმ ქალაქის მცხოვრებთაგან ამორჩეულნი არიან და მინდობილი აქვთ საქალაქო საქმეები. და ის ქალაქი, რომელსაც ნივთიერი სახსარი არა აქვს, ცდებს სხვს ამ საკითხის მოსაწესრიგებლად. ამ მხრით არც ჩვენი ქალაქის მოღვაწენი ჩამორჩენ სხვას და შეუდგენ თადარიგს მოეწყოთ სათადარიგო სასურსათო ორგანიზაცია. ქუთ. ქალაქის მოურავმა ბ-მა ი. მ. ჩიქოვანმა მოიწვია, როგორც ხმოსნები, ისე გარეშე გამოცდილი პირნი ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენათ. ქალაქის გამგეობამ გამოცდილი პირების დახმარებით შეადგინა ყოველმხრივ დასაბუთებული პროექტი და წარუდგინა საბჭოს დასამტკიცებლად.

ამ საგანმა საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია. ზოგიერთმა ხმოსანმა გულის წყრომაც კი განაცხადა. მათი აზრით, საქმე დაჩქარებულათ არის შედგენილი. ეს საკითხი ჯერ უნდა გაირჩეს საბჭოში არჩეულ ყველა კომისიაში (სანიტარულ კომისიაშიაც კი) და შემდეგ „როდინობის" კვირაში წარმოუდგინოთ საბჭოს დასამტკიცებლათო.

თუ ვიანგარიშებთ, რომ თითოეული კომისია ორ-ორი კვირა მაინც მოუნდება შეკრებასა და სჯა-ბაასს, ეს დიდ მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი აგვისტომდის თუ გადაწყდება. ნათქვამია: პეტრეს მოსვლამდის, პავლეს ტყავი გააძვრესო, სწორეთ ასე დაემართება ხალხს.

აი, სწორეთ ასეთი ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა საბჭოს მაშინდელმა კრებამ.

დიახ, ჩვენდა საუბედუროთ, ეს საკითხი, როგორც ვატყობთ, კომისიებში ჩაკვდება, როგორც ეს ჩვენს სხვა დაწყებულ ზებშიაც ხდება ხოლმე.

და ამავე დროს ყოველი დაგვიანებულის დღე საქმეს არსებითად არაფერ სარგებლობას არ მოუტანს, მავნებლობას კი ბევრს, ვინაიდან სანოვაგის ფასი დღითიდღე იზრდება და, ვიდრე ფულის აღების საკითხს კომისიები გაარჩევენ, ის თანხა, რომელიც ნავარაუდევია ხარჯთაღრიცხვაში, საკმარისი არ იქნება და მეორე უბედურობა დაიბადება.

საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს უფრო მეტი დრო დათმობილი აქვს რაღაც წვრილმანობას, ვიდრე სერიოზულ საქმეს საბჭოში.

და ეს იმ დროს, როდესაც გაორკეცებული და ერთსულოვანი მუშაობაა საჭირო, ქალაქის საბჭო 21 თებერვლის სხდომას ანდომებს რაღაც უბრალო ქუჩაში განაგონ საკითხის გარჩევას და დღიურ წესრიგში ჩამოთვლილ საკითხებს გვერდს უხვევს.

არ ეპატიება ზოგიერთ ხმოსანს, რომელიც ასეთ დაწვრილმანებას ხელს უწყობს და საბჭოს დროს აკარგვინებს ტყუილა უბრალოთ.

გაიგეთ, ბ-ბო, რომ ხალხმა თქვენ მოგანდოთ თავის ბედი, აღკვეთეთ თავისი ნდობით და ნუ გამოიყენებთ ამ ნდობას ბოროტად, თორემ იგივე ხალხი პასუხს მოითხოვს დამნაშავესაგან.

ა—კი.

სახელმწიფო სათათბირო.

24 თებერვლის სხდომა.

სხდომას როძიანკო თავჯდომარეობს. განსახილველია ფინანსთა მინისტრის მიერ წამოყენებული კანონ-პროექტის შესახებ სახელმწიფო ბანკის უფლებათა გაფართოებისა, იმპერიაში მეტი ქაღალდის საკრედიტო ფულის გამოცემისა და აგრეთვე ამ საკითხის შესახებ მოხსენება ეგზავნება კავკასიის მეფის ნაცვალს.

„ბაქოს ამბები".

დეპუტატმა **ჯაფაროვმა** სათათბიროში მოხსენება წარადგინა ბაქოში მომხდარ უწესოების გამო და აღნიშნა, იქაური მთავრობის უვარგისობა ხსენებულ უწესოების დროს. ჯაფაროვი ამტკიცებდა, რომ ქალების არა ჩვეულებრივად აღელვება და მათი საავაჭროებში სამტვრევად მისვლა გამოიწვია, ხელოვნურად სანოვაგის გაძვირებამო.

სკობელევი. აღნიშნავს რომ, ამ ომის დროს უსათუოდ საჭიროა შინაური ქიშპობის მოსპობა და ერთსულოვნების, დამყარება; ორატორი სურვილს გამოსთქვამს, ბაქოს ამბები ყოფილიყოს უკანასკნელი, ამიტომ საჭიროაო, ამბობს დეპუტატი, მეტის სიფხიზლით მოქმედება.

პაპაჯანოვმა. სათათბიროს წევრთ მოახსენა, რომ ბაქოს ამბები განსაკუთრებულის ყურადღებით მოეპყრნათ, ვინაიდან ბაქო კავკასიაში ერთად ერთი თვალსაჩინო ქალაქია (ნავთის მხრით), რომლის ნავთითაც სარგებლობს მთელი რუსეთი. ამიტომ საჭიროა მომხდარ ამბებს მეტი ყურადღება მიექცესო.

იხილავენ საბიუჯეტო კომისიის მორიგ საკითხს. მომხსენებელი [illegible], საკმაოდ განმარტებულად [illegible] დის საეკლესიო საკითხს. [illegible] რით, საეკლესიო მმართველობაში საჭიროა დიდი რეფორმის მოხდენა, ვინაიდან დღევანდელ ეკლესიის მამა მთავარნი თავის ყოფაქცევითა და მოქმედებით ეკლესიის განადგურებას უზიადებენო სამღვდელოების უკეთეს გზაზე დასაყენებლად და საეკლესიო საქმეთა გამოსაკეთებლად უპირველესად საჭიროა ნივთიერი უზრუნველყოფაო. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს სასულიერო სწავლა-განათლების საქმეს და აცხადებს, რომ აქაც საქმე მეტად უნუგეშოა, ხსენებულ სასწავლებლების შენახვა დიდ პარაზიტად აწევს ბიუჯეტს ორატორი სასულიერო სასწავლებლების მართველობაში მოითხოვს სათანადო რეფორმას, რაიც მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება.

სინოდის ობერ-პროკურორი აცხადებს, რომ მოძღვართათვის მიუცილებელი საჭიროა არა მარტო მამაოჩვენის ცოდნა, არამედ ფართო განათლება და გულწრფელად მოქმედება ხალხთან. ამასთანავე საჭიროა, რომ მოძღვრის ავტორიტეტი ხალხის თვალში არ იყოს დაცემული. ობერ-პროკურორი მოითხოვს კონტსილის შემოღებას საეკლესიო სანთლის ქარხნებში, უწმინდეს სინოდის მხრივ. ობერ-პროკურორმა აღნიშნა კიდევ ამ ომში რუსეთის სამღვდელოების სულიერი განწყობილება, რომელიც მებრძოლ ჯარს გვერდში ამოსდგომია და ცხელ ტყვიას არ უშინდება სამშობლოს საკეთილდღეოთ.

სახელმწ. საბჭო.

24 თებერვალი.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა შემდეგი კანონ პროექტი: სახელმწიფო სათათბირო თავს იდებს იმპერიაში სხვადასხვა მთავრობის დაწესებულებათა თუ პროფესიონალურ კავშირთა შეთანხმებას. გზათა მინისტრს უფლება ეძლევა ხაზინიდან სათანადო თანხა მოითხოვოს იმპერიაში სხვადასხვა რკინის გზის მოსაწყობად. ფინანსთა მინისტრს უფლება მიეცა სახელმწიფოში სხვადასხვა გვარ სასმელ წყლის შესახებ კანონ-პროექტი შეიმუშაოს და აგრეთვე ერიდოს ხელოვნურ სასმელ წყლის ქარხნების გამრავლებას, რადგან ზოგიერთი მათგანი ჯანმრთელობისთვის მავნებელია. მიწათმოქმედების მინისტრს უფლება მიეცა აკრძალოს იმპერიაში, რომ დასაკლავად 4 თვეზე ნაკლები ხნის ხბოები არ გამოიყვანონ. ნაბრძანებია აგრეთვე იმპერიაში მოგროვდეს ზემო სტრიქონში ნაჩვენებ ხნის 86000 ხბო და გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

ომი და მსოფლიო მეურნეობა.

ციურიხის ერთი გაზეთის დამატებაში გაზეთი ,,დენის'' გადმოცემით შემდეგი საყურადღებო სტატიაა მოთავსებული:

,,პანამის არხის გაყვანა—სწერს ავტორი ორი მილიარდი ფრანკი დაჯდა (ფრანკი-35-37 კ.) დაახლოვებით ამდენი ფული ახლა მსოფლიო ომზე ერთი კვირის განმავლობაში იხარჯება. რამდენი კულტურული საქმე, რამდენი კაცობრიული გეგმები და პოლიტიკური წარმატება შეიძლებოდა მიღწეულ იყო ამ ფულით! რამდენი უსისხლო ბრძოლა შეიძლებოდა გამართულიყო ბუნების სტიქიურ ძალებთან და გამარჯვებაც მოგვეპოვებია! მსოფლიო ომის დაწყებამდე ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ომის გასამართლებლათ ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ ვითომ ომი კაცობრიობას ნივთიერ კმაყოფილებისა და ფუფუნების მორევში ჩაღრჩობისაგან იფარავს. ნამდვილათ კი ასეთი საშიშროება გარდა ერთი მუჭა ჯგუფისა, რომელსაც ალლარმისტებს უწოდებენ, ხალხს სულაც არ მოელოდა. ახლა რომ მთელი ის ნივთიერი ძალა, რომელსაც კაცობრიობა ომის საწარმოებლათ ხარჯავს და აოხრებს, ერობის ნაყოფიერი შრომის გასავითარებლათ დაეხარჯა, მაშინ ხალხის შეგნება იმ სიმაღლეზე დადგებოდა, რომ შემდეგში

ვერავითარ შოვინისტურ პროპაგანდა აგიტაციას ვერ შეეძლო, რომ ის ისევ ომის და სისხლის ღვრის გზაზე დაეყენებია".

ზემო-ხსენებული ავტორის აზრით ახლანდელი ომი მეტად ცუდ შედეგებს დატოვებს. შეიარაღებული მშვიდობიანობა, რომელიც მას შემდეგ უნდა დამყარდეს, კიდევ უფრო მძიმე ტვირთათ დააწვება ხალხს, ვიდრე ეს ომამდე იყო. მაშინ ხალხმა თავისი ნაშრომის კიდევ უფრო მეტი წილი იმაზე უნდა დახარჯოს, რომ როგორმე ეგრეთ წოდებული, „სახელმწიფოებრივი უშიშროება" უზრუნველჰყოს. ყველა სახელმწიფო ამ საქმეში თავს დამოუკიდებლათ გამოაცხადებს. მაგრამ ერთი მხრით ეს გარემოება იმით არის საყურადღებო და საიმედო, რომ მსოფლიო ბაზარი შეზღუდული იქნება და სახელმწიფოს საბაბი მოესპობა სამხედრო ინდუსტრია კიდევ უფრო გააძლიეროს, ვინაიდან ეს მაშინ საჭირო აღარ იქნება: „ნაციონალურ ინტერესებს" ვეღარ მოიმიზეზებენ; და რაკი სამხედრო-სამრეწველო დაწესებულებები სახელმწიფოს ხელში იქნება, შეიარაღებაც მინიმუმამდე იქნება მიყვანილი.

სიძვირე ომის გათავების შემდეგაც იქნება, მაგრამ არა ისე გამწვავებული, როგორც ახლაა. ამიტომ სახელმწიფო შრომის განაყოფიერებას ეცდება, რომ შინ ყველა აუცილებელი საჭიროება-მოთხოვნილება საკუთარი წარმოებით იქნას დაკმაყოფილებული.

ყველაფერი ეს ბევრათ დამოკიდებულია, რა-თქმა უნდა, იმაზე, თუ რითი დამთავრდება დღევანდელი ომი, მაგრამ ზემოხსენებული ტენდენციას გამარჯვებულ სახელმწიფოებში ყოველ შემთხვევაში ადგილი ექნება. ომში მრავალი ადამიანის დაღუპვის გამო, ცხადია, შინაური ბაზარი შემცირდება, მასთან ევროპის კაპიტალი საკუთარ საჭიროების დაკმაყოფილებას მოუნდება და უცხოეთში მისი გატანა დიდათ შემცირდება. აქ, რასაკვირველია ფულის ღირებულებასაც მნიშვნელობა ექნება.

„ნეიტრალურმა ქვეყნებმა, დაასკვნის ავტორი" მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა ეს გარემოებანი და აქედანვე პრინციპათ უნდა გაიხადონ: concordia parvae res crescunt, ე. ი. ერთობისა და შეკავშირების მეოხებით პატარა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ შესამჩნევი ძალღონე მოიკრიბონ და სასურველ შედეგს მიაღწიონ.

(დ.)

პროვინციის ცხოვრება.

სამტრედიის ავ-კარგი.

სამტრედიის რაიონში უკვე სიმშილობა ჩამოვარდა. ბევრია ისეთი ოჯახი, რომ სიმინდს აგერ ორი თვეა-რაც ჰყიდულობს. მიუხედავათ ასეთი გაჭირვებისა, ათასგვარმა სახელმწიფო გადასახადმა ხომ წელში გასწყვიტა ხალხი, ყველაფერმა იმატა გლეხის შემოსავლის წყარო კი დაიშრიტა, დაშრა. რა ქნას. რით გაუძლოს ყოველივე ამას?.. ამის პასუხის გაცემა არც ისე ადვილია. მართალია, ჩვენში ძლიან გახშირდა კოოპერატივები, მაგრამ მარტო ეს ვერ შველის გლეხის ეკონომიურ მდგომარეობას, ამიტომ საჭიროა—მთავრობამ, და ხალხის შეგნებულმა პირებმა იღონონ რამე და დაიხსნან ხალხი მომავალი კატასტროფისაგან. სიმშილი შავი აჩრდილივით ელანდება გლეხს დღეს და საჭიროა ამის წინააღმდეგ საშუალების გამოძებნა.

ამბობენ კოოპერატივს დაკვეთილი აქვს სიმინდი მაგრამ ამდენ ხანს არ მოსულია, მიზეზი არ ვიცით. სიმშილობის მიზეზს უნდა მიეწეროს ისიც, რომ ამ ბოლო დროს სოფლებში ძლიერ გახშირდა ქურდბაცაცობა იპარვენ, როგორც ორფეხ-საქონელს, ისე ოთხფეხს, ურმებს, სასიმინდეს სტეხენ, გააქვთ სიმინდი, და სხვა.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ-არს.

კვირას, 21 თებერვალს, აქაურ სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ივ. გომართელის პიესა „ქოხში" დრამა 5 მოქ. და 2 სურათად. მოთამაშეთა შორის კარგი იყვნენ: დ. კობახიძე (საჩინო), კ. მიქაძე (თამარი), დ. შანიძე (ლუკა) დანარჩენი მოთამაშენი მოისუსტებდნენ. პიესა ორი რეპეტიციის შემდეგ დაიდგა და ვერ ჩაიარა სასურველათ. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. უკრავდა მუსიკა.

მგელი.

დ. ჩხარი. შაბათს, 20 თებერვალს, ადგილობრივ სამინისტროს სკოლის მასწავლებლებმა გამართეს უფასო სალიტერატურო საღამო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი საღამო პროვინციაში მეტად სასურველია.

ხსენებულ საღამოს ჩხარის საზოგადოება დიდის ამბით მიეგება, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საღამომ იმედი ვერ გაამართლა მაგ. მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ხალხზე სიმღერამ, რაიც აიხსნებოდა საღამოს ინიციატორთა მოუმზადებლობით. აგრეთვე მეტად არა სასურველი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე სცენაზე გამართულმა, თითქოს ძველებურმა ლხინმა რადგან ის არც ჩვენი ძველებური ლხინის გამომხატველი იყო და არც აწინდელს წააგავდა. ერთი სიტყვით, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საღამომ საერთოდ ცუდათ ჩაიარა, და საზოგადოება მეტად გულდაწყვეტილი დასტოვა.

ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში, მაინც თუ კი ჩხარის ინტელიგენცია საზოგადოების სულიერად გართობას მოისურვებს, უკეთესად მოემზადება და ხალხს მართლაც სულიერი გართობით დაატკბობს.

დამსწრე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდინარე ენის აღმოსავლეთით ფრანგებმა ცეცხლის მფრქვეველი იარაღები დაუმიზნეს გერმანელთა საველე სიმაგრეთ. აგრეთვე დიდი ბრძოლა მოხდა კრაკნის, პალის მიდამოებში სუასონის აღმოსავლეთით.

ფრანგებმა ცეცხლს მისცეს გერმანელების სიმაგრეები ოტშოვოშთან და ტყე მეპში.

მაასის დასავლეთით გერმანელები სამი დღის განმავლობაში არტილერიით ებრძოდნენ, მაგრამ ამაოთ.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. ზოგიერთ ადგილას გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს.

ოდესა. გამოქვეყნდა ბრძანება რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიწად მფლობელობის რეკვიზიციის მოსახდენად.

პარიზი. პავასის სააგენტოს ცნობა. ვერდენთან ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებული დიდი შეტაკება ხდება სოფ. ფორჟ ან. აქ გერმანელებმა ცოტათი წინ წაიწიეს.

გერმანელთ მდ. მაასთანაც ცოტათი წინ წაუწევიათ, სადაც მათ ზარალი მოსვლიათ.

ბორდო. 29 თებერვალი. აქ ჩამოვიდა მთაშავეთის მეფე ცოლშვილით და სასახლის წევრებით.

სტოკჰოლმი. შვეციის მთავრობამ საბიუჯეტო კომისიაში შეიტანა 80000 კრონის გაღება სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვი. „მოსკოვის ამბების" გამომსამართლომ ოთხი თვის ციხე მიუსაჯა მოწაფე სემენოვს და შვიდ-შვიდი თვის მოსკოვის მცხოვრებთ პუმაჩევს და ალექსენკოს.

რომი. იტალიის ასპარეზზე დიდი თოვლი მოვიდა, ზოგან 5 მეტრის სიმაღლემდე, ამიტომ ბრძოლა ჩქარის ტემპით ვეღარ სწარმოებს. ბრძოლა გაცხოველდა მდ. იზონცოს მიდამოში.

ლონდონი. ბერლინის მთავარ ბანაკის ოფიციალური ცნობა. საფრანგეთში გრეკესთან მძაფრი შეტაკება ხდებოდა, ინგლისელებს გერმანელების საველე თავსაფართათვის დიდი ზარალი მიუყენებიათ. გუშინ ღამით გერმანელებმა მდ. იპრის პირას ააფეთქეს ნაღმი, მაგრამ ზარალი არ მიუყენებიათ. ლაბანტის აღმოსავლეთით ინგლისელებმა ააფეთქეს ნაღმი, ბაბიტთან გერმანელებმა ინგლისელებს ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს.

ლონდონი. 24 თებერვალი ამას წინად გერმანელთა ცეპელინების თავდასხმის შედეგს ბრიტანიის მთავრობა ახლა სავსებით იტყობინება. დაღუპულა სანაპიროებთან 68 კაცი და 30 ქალი.

აფრიკა.

ვაშინგტონი. გრაფმა ბერნსტორფმა მემორანდუმი წარუდგინა ვაშინგტონის მთავრობას, სადაც აუწყებს, რომ ბრიტანიამ აიძულა გერმანია აწარმოოს წყალქვეშა ომი მეტის სიმკაცრით.

პასუხად „ნაცნობს".

(დასასრული იხ. „სამ". № 295.)

„ვაგონის შემკეთებელ მუშებში უკმაყოფილებამ იჩინა თავი პურის უვარგისობის და აგრეთვე იმის შესახებ, რომ მათ იმაზე მეტს აწერდენ, რამდენიც ნამდვილად აქვთ დახარჯული. შემთხვევა იყო, რომ ასეთი მუშებმა სამედიატორო სამართალში გამოიწვიეს, მაგრამ მათ ცინიკურად უპასუხეს, მედიატორებიც თვითონ ჩვენა ვართო.

საზოგადოების ფურნეში რომ კარგი პური ცხვებოდა,—ამას ვერ უარყოფს არა თუ მომხმარებელი, მოქიშპე არამედ კერძო მეფურნეც.

მართალია პირველ ხანებში იყო ერთიორი შემთხვევა, როცა მდარე პური გამოცხვა, მაგრამ ასეთი შემთხვევები ყოველგან მომხდარა და აქ რა მოსატანი იყო, როცა ყველამ იცის, როგორც ეტანებოდა საზოგადოება კოოპერატივის ფურნეს: წყალ გაღმიდანაც კი გამოდიოდენ კოოპერატივში პურის საყიდლათ.

საზოგადოთ, მე არავისათვის უარი არ მითქვამს ესა თუ ის ცნობა მიმეცა და საჩივრები განმეხილა, რასაც, სხვათა შორის, ოქმის წიგნიც მოწმობს, ხოლო სამედიატორო სამართალში პირადათ მე არც ერთ მუშას არ გავუწვევივარ და მაშასადამე, „ცინიკურ" დაცინვასაც ადგილი არ ექნებოდა.

„ჯამაგირს ჯამაგირზე უმატებდენ ბურჯანაძეს"..

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ ქ. ფოთში არსებულ ქარხნების მიხედვით ბურჯანაძეს მცირე ჯამაგირი ეძლეოდა, ნაკლები იმაზე, რასაც სხვა მუშები იღებდენ. უდიდესი ჯამაგირი, რომელსაც ის იღებდა უკანასკნელად, ომის დაწყებამდე, უდრიდა 55 მ. (ამაში შედიოდა ჯამაგირი, ხარჯის ფული, ოთახის და კანტორის ქირა) და განა ეს დიდი ჯამაგირია გამგისათვის, რომელსაც 7 განყოფილება ჰქონდა დაკისრებული?

„სასადილოს ერთმა მოსამსახურემ გაბედა და ნაცნობს უთხრა, რომ საკუჭნაო დავთრებში შემოსავალს ნაკლებს სწერენ და გასავალს ნამდვილზე მეტსაო, რისთვისაც ის დაუყონებლივ დაითხოვეს კოკალამშვილმა და ბურჯანაძემა".

მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, რომ მე მონაწილეობა არ მიმიღია იმ მოსამსახურის დათხოვნაში და მეორედ, იმ მოსამსახურეს არც ჩემთვის და არც გამგეობის სხვა წევრისათვის არ განუცხადებია, რომ ის მოწმე იყო გამგის მიერ ქურდობის ჩადენისა, თორემ გამოუძიებლად და უყურადღებოთ ასეთ მძიმე ბრალდებას გამგეობა არ დასტოვებდა. ამის მზგავსი განცხადება (ალბათ შურის საძიებლათ) ნოქრით ნამყოფმა წარუდგინა უკანასკნელ საზოგადო კრებას, როცა გამგე ბურჯანაძეზე ისედაც ყოველი მხრიდან იერიში იყო მიტანილი, მაგრამ საზოგადო კრების მიერ უყურადღებოთ იქნა დატოვებული, როგორც დაუსაბუთებელი განცხადება.

„ასე მიდიოდა საქმე 1914 წლამდე. ამ წელს კოკალამშვილ—ბურჯანაძეს გამგეობაში მიემატენ ვალ. გაშაძე, ინჟენერი ამ. კობახიძე" და სხ.

აქაც იგივე უცოდინარობაა. თქვენგან ათვალწუნებულ კოკალიშვილის 1912 და 1913 წ. წ. გამგეობაში არც კი უმსახურნია. ის არჩეულ იქნა ხელმეორედ გამგეობაში 1913 წლის დამლევს. ამ ხნიდან დაწყებული ის აღარც თავჯდომარეთ ითვლებოდა და აღარც მის მოადგილეთ (მაისიდან დაწყებული ენკენისთვემდე 1914 წ. აღარც პაითურაში უცხოვრია.) 1914 წ. ნოემბრის პირველს რიცხვებში, როცა გამგეობის წევრები აღარ იყვნენ და ამ დროს ომის მიზეზით უკვე დაცემული იყო კოოპერატივი, ჩემივე თაოსნობით, იქნა მოწვეული საზოგადო კრება. შემდეგ, როცა ახალი გამგეობა შედგა და საშუალებაც მოგვეცა 1914 წლის ანგარიშებს გავცნობოდით დაწვრილებით, ახალმა გამგეობამ შეადგინა ანგარიშები, დაბეჭდა და მოხსენებით წარმოუდგინა საზოგადო კრებას. ამნაირად, 1915 წელს იენისში შედგა საზოგადო კრება არა „საზოგადოების მოთხოვნით", როგორც ამას ბრძანებს კორესპონდენტი, არამედ გამგეობის დადგენილების თანახმად (იხ. ოქმი).

„კრება ანგარიშის წაკითხვისთანავე დარწმუნდა, რომ აშკარა მპარავ-მოქმედება გამგეობის მხრით"..

მე კი მოვახსენებ „ნაცნობს", რომ არა თუ საზოგადო კრებამ ორი თვის მუშაობის შემდეგ კომისიამაც კი ვერ იდვა თავის თავზე ეჭვი ეღო ან რამე ბოროტმოქმედება დაეწამებია საზოგადოთ გამგეობისათვის. რაიცა შეეხება გამგე ბურჯანაძეს, მას უპირველესად წიგნების არევ დარევას აბრალებდენ და ამოხეული ფურცლების შესახებ იყო მთელი დავა ატეხილი. იქონიეთ მხედველობაში, რომ 1914 წ. ანგარიშებს აწარმოებდენ იანვრიდან დაწყებული თითქმის 8 თვე ბუღალტერი და გამგე, შემდეგ ომის გამოცხადებისა მარტო გამგე. მე დარწმუნებული ვარ, რომ გამგეს რომ გამოეჩინა მოქალაქობრივი გამბედაობა და სიმართლით ეღიარებია თავისი შეცდომები დავთრების საქმეში, ან ეთქვა გულ წრფელად თუ რამ შეუშალა ხელი ომის გამოცხადებისას ნისიების აღებაში, საზოგადო კრება მას უფრო ლმობიერად მოეპყრობოდა.

უკანასკნელი საზოგადო კრების შესახებ „ნაცნობი" ბრძანებს:

„გამგეობაში გამეფებულმა წესმა ფართო საზოგადოება დაინტერესა და თუმცა ჭიათურა დაცლილია, მაგრამ კრებას დიდი საზოგადოება დაესწრო" და სხ.

არ ვიცი ვის ეძახის ის დიდ საზოგადოებას, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ პირველი საზოგადო კრება არ შედგა, ხოლო იმ კრებაზე, რომელზეც რეზოლუციები იქნა გამოტანილი, 434 წევრთაგან გამოცხადდა ოციოდე წევრი და, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნამდვილ წევრებთან ერთად ხმის უფლებით სარგებლობდენ არა წევრები.

რაიცა შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ბ. ბურჯანაძისადმი, ეს საზოგა[illegible] ზედაც ყველასათვის [illegible] გად იციან გამ[illegible] პირებმა და აგრეთვე ადვილია ამის მოწმება ოქმების საშუალებით, [illegible] თქმა იმის, რომ ბურჯანაძის სამსა[illegible] შეშას ვაჭრობდით, საზიზღარი ცილ[illegible] მებაა და სხვა არაფერი.

ნ. კოკალიშვი

რედაქტორი ი. ციცაძ
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობ

რკინის გზის მიმოსვლ

ქ. ქუთაისში მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.
„	— საღამ.	— 6 ს.
ბათომიდან	— დილით	— 1 ს.
„	— ღამის	— 2 ს.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისაკენ	— დილის	— 11 ს.
„	— ღამის	— 1 ს.
ბათომისაკენ	— დილით	— 5 ს.
„	— დილის	— 4 ს.
ფოთისკენ	— დილით	— 4 ს.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6½ ს.
შორაპნისაკენ	— დილით.	— 5 ს.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრა
საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევის
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვახლავ მობრძანდეთ დილის 10
შუადღევის 1 საათ და საღამოობით 4 საათ.—7 საათ.
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორბეთის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,
ქის მხარეზე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სა
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოღობერ**

ქუთაისი.

ძმ. ყორღოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიღებულია ვენახის ასაპრავი საუ

ქილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია

საღი კუჭი

ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ლებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.

ყაბზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.

ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგან.

ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჩვილ ავათმყოფებისაგანაც კი.

პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქ. ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** საფეთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კ.

9 (წლიური)